ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 790 20-33-05

27 აგვისტო 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №74

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[I] მუხლის თანახმად

საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2 ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

პროექტი

დადგენილება

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმა დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 ივნისის №42 დადგენილება

მუხლი 3.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

მშენებლობის სანებართვო მოწმობა №...

1. შენობა-ნაგებობის ადგილმდებარეობა: ----------
   მისამართი
   ---
2. მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მონაცემები, საკადასტრო კოდი: ----------
   ---
3. ნებართვის მფლობელი :----------
   საიდენტიფიკაციო მონაცემები

---------- 4. მშენებლობის ნებართვის გაცემის თარიღი: ----------

5. მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა: ----------
6. მშენებლობის ნებართვის ვადის დინების დაწყების თარიღი:----------
7. შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და გამოყენების მიზანი: ----------
---
8. მშენებლობის პროცესის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპები:----------
---
9. შენობა-ნაგებობის კლასი, შესაბამისი სანებართვო პირობები:
მშენებარე ობიექტის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გამცემის მიერ ობიექტის მშენებლობის დათვარიელება და სათანადო ოქმების გაფორმება მშენებლობის შესაბამის ეტაპზე.

ნებართვა გაიცა „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

ნებართვის გამცემი:
მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- (ხელმოწერა)

ბ.ა.

------- ---------- 20.. წელი

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №